

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმადლესი საბჭო

1.1.2023

მარინე გვიანიძის 2022 წლის ანგარიში

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ
საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე



შინაარსი

| | |
|---|---|
| საქმიანობა საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციაზე..... | 3 |
| საკანონმდებლო საქმიანობა | 4 |
| პეტიციები..... | 5 |
| საერთაშორისო ურთიერთობები..... | 5 |
| მოსახლეობასთან და ახალგაზრდა თაობასთან ურთიერთობა, სხვადასხვა სამუშაო შეხვედრები..... | 7 |
| სამეცნიერო საქმიანობა..... | 8 |
| 2023 წლის გეგმები | 9 |

საქმიანობა საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციაზე

აღნიშნული კომიტეტი უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი საკვანძო სუბიექტია და მისი ფუნქცია-მოვალეობებია:

- საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადება;
- უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების შესრულების ხელშეწყობა;
- ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლი;
- კომიტეტი კანონმდებლობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად ხელმძღვანელობს ხალხის ინტერესების უზენაესობით, მრავალპარტიულობის, კანონიერების, საჯაროობის, ხელმისაწვდომობის, გამჭვირვალობისა და თანასწორობის პრინციპებით;
- საქმიანობას წარმართავს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის, კომიტეტის დებულებითა და კომიტეტის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში;
- კომიტეტი ეფექტიანად უზრუნველყოფს საბიუჯეტო პროცესს, რომელიც პასუხობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის საჭიროებებს.

ცხრილი 1. კომიტეტის აქტივობები

| სხდომათა რაოდენობა | განსახილველი საკითხი | დასკვნა | პეტიცია | ანგარიში |
|--------------------|----------------------|---------|---------|----------|
| 20 | 24 | 24 | 4 | 9 |

სამოქმედო გეგმის ფარგლებში კომიტეტი განიხილავს და უსმენს სხვადასხვა უწყებების ანგარიშებს.

ცხრილი 2. უწყებების ანგარიშები

| | |
|----|---|
| 1. | მთავრობის მიერ წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიში. |
| 2 | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2023-2026 წლებისათვის. |
| 3 | რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა ნაზარდი ჯამით. |
| 4 | სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთ საბჭოს 2021 წლის საქმიანობის ანგარიში. |
| 5 | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება „აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში და ინფორმაცია 2022 წლის ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით. |
| 6 | 2022 წლის ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით „ბათუმის ბულვარის“ ინფორმაცია და 2021 წლის საქმიანობის ანგარიში. |
| 7 | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაცია „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვის“ პროგრამის ფარგლებში ანგარიში წლის განმავლობაში შესრულებული პროექტების შესახებ. |
| 8 | ინფორმაცია ააიპ „ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის მიერ წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის თაობაზე. |

საკანონმდებლო საქმიანობა

2022 წელს განხორციელდა შემდეგი საკანონმდებლო ინიციატივები:

- ▶ *„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი (მიღებულია პირველი მოსმენით N66 15.12.2022წ)*
- ▶ *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ" (მიღებულია N55 16.06.2022წ)*

- ▶ „საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დადგენილების პროექტი - შესრულების პროცესშია.

პეტიციები

2022 წელს კომიტეტს განსახილველად დაეკისრა 4 პეტიცია, რომელთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო პეტიცია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შესახებ. პეტიციის განხილვის ფარგლებში ვითანამშრომლე ყველა მუნიციპალიტეტის მერებთან და ჩავატარე სამუშაო შეხვედრა. ქედის, შუახევის და ქობულეთის მუნიციპალიტეტების მიერ 2022 წელს განსაზღვრული თანხები ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) გააორმაგა და შესაბამისად მეტმა ბენეფიციარმა ქალმა მიიღო ხელშეწყობა ეკონომიკურ განვითარებაში.

საერთაშორისო ურთიერთობები

ზალცბურგის მე-18 ევროპის სამიტო

მნიშვნელოვანი იყო უმაღლესი საბჭოს ვიზიტი ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ზალცბურგის მე-18 ევროპის სამიტზე, სადაც წარვადგინე პრეზენტაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ. პრეზენტაციის ძირითადი მიზანი იყო ჩვენი რეგიონის პოპულარიზაცია ეკონომიკური და ტურისტული მიმართულებით.



სამშობლოში დაბრუნებული პროფესიული კადრების შეხვედრა

გერმანიის ელჩის მიერ მიწვეული ვიყავი შეხვედრაზე, სადაც ვისაუბრე ჩემს პროფესიულ საქმიანობაზე საქართველოში. აღნიშნული შეხვედრა გაიმართა GIZ თანამშრომლობის ფარგლებში, - პროგრამა მიგრაცია და დიასპორა. შეხვედრაში მონაწილეობას ღებულობდა 100-ზე მეტი გერმანიაში განათლება მიღებული და სამშობლოში დაბრუნებული პროფესიული კადრი. აღნიშნულ შეხვედრაზე შესაძლებლობა მომეცა მესაუბრა საქართველოში ჩემს პროფესიულ გამოცდილებაზე. საქართველოში დაბრუნებული ყოველი პროფესიული კადრი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის წინსვლაში და წარმატებაში და არის ასევე მაგალითი სხვა კადრებისთვის, რომ დაბრუნდნენ სამშობლოში და მიაღწიონ წარმატებას საკუთარ ქვეყანაში.



მოსახლეობასთან და ახალგაზრდა თაობასთან ურთიერთობა, სხვადასხვა სამუშაო შეხვედრები

მოსახლეობასთან ურთიერთობას ვანხორციელებ როგორც უმაღლეს საბჭოში მიღებით ასევე გასვლითი შეხვედრებით, სადაც განვიხილავთ მათთვის აქტუალურ საკითხებს და გადაჭრის გზებს.

ასევე შეხვედრებს ვმართავ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტუდენტებთან და სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრის ძირითადი თემებია უმაღლესი საბჭოს შესახებ ცნობიერების ამაღლება და გარემოს დაცვის საკითხები. ასევე დიდ ყურადღებას ვუთმობ ახალგაზრდა თაობის ინიციატივებს და ინტერესებს, რაზეც დისკუსიის ფორმით ვსაუბრობთ.

წლის განმავლობაში ჩატარებული მნიშვნელოვანი შეხვედრები და აქტივობები:

- აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2023-2026 წლების პროექტები.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიერ ორგანიზებული შეხვედრა „მონაცემთა შეგროვების პროცესის გაუმჯობესება და ოფიციალური სტატისტიკის მიმართ ნდობის ამაღლება“.
- ბათუმში, აჭარის მთავრობის, IBCCS Georgia და Cyprus Georgia Business Club-ის მხარდაჭერით გამართულ საინვესტიციო ფორუმი.
- მე-18 საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ ორგანიზებული საქველმოქმედო თეატრი ი. გოგებაშვილის "იავნანამ რა ჰქმნა“.
- მე-18 საჯარო სკოლაში, სასწავლო წლის დასრულებისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიება.
- ბიომრავალფეროვნების დღესთან დაკავშირებით, შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის პროფესორებთან და სტუდენტებთან ერთად, ჩავატარეთ სამეცნიერო ექსკურსია მაჭახლის დაცულ ტერიტორიაზე და გავეცანით ამ კუთხის უნიკალურ ბუნებას.

- ბათუმის ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე-13 საერთაშორისო გამოფენა.
- საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის მხარდაჭერით ჩატარდა ორ დღიანი სამუშაო შეხვედრა გენდერული ბიუჯეტების შესახებ.
- ბათუმის შოთა სრუთაველის საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად გონიოს სანაპირო ზოლის დასუფთავების აქცია.
- „იყავი მეწარმე“ - პროგრამაში მონაწილე წარმატებული პედაგოგების დაჯილდოება.
- კონფერენცია „შშმ ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში“
- საქართველოში მცენარეთა დაცვის აქტუალურ პრობლემებზე გამართულ სამუშაო შეხვედრა.
- აჭარის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოსა და საკონსულტაციო ჯგუფის გასვლითი სამუშაო შეხვედრა. ღია მმართველობის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის განხილვა.
- აგროფორუმში - „ქალები რეგიონისთვის“

სამეცნიერო საქმიანობა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში 2016 წლიდან ვასწავლი 3 საგანს:

1. საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები
2. გარემოს ხარისხის კონტროლი და შეფასება
3. გარემოს დაცვის თანამედროვე სისტემები

აღნიშნული საქმიანობა საშუალებას მაძლევს ახალ თაობას გავაცნო გაერმოს დაცვის მნიშვნელოვანი ასპექტები. ასევე საწარმოო პრაქტიკის მეშვეობით რეგიონში არსებული გარემოს დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვან ობიექტებზე ვი ზიტივ, კიდევ უფრო უღრმავდებათ სტუდენტებს გარემოს დაცვითი ცნობიერება.



2022 წელს სამეცნიერო ჟურნალში გამოვაქვეყნე სტატია: შავი ზღვის აჭარის სანაპირო ზოლის ბაქტერიული დაბინძურების შესწავლის შედეგები 2013-2020 წწ.

ასევე მონაწილეობა მივიღე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში “ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები” სადაც, წარვადგინე მოხსენება შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ.

2023 წლის გეგმები

- კომიტეტის სამოქმედო გეგმის შესრულება.
- ღია მმართველობის საბჭოს ფარგლებში აღებული ვალდებულების გაგრძელება და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ. აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში სამუშაო შეხვედრების ჩატარება ამ მხრივ დაინტერესებულ საზოგადოებასთან.
- შეხვედრების მოსახლეობასთან და მათი მხარდაჭერა.

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონზე მუშაობა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“.
- „საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დადგენილების პროექტი - შესრულების პროცესშია.
- გენდერული ბიუჯეტირების პროცესის შესწავლა გამოცდილი ქვეყნების მაგალითზე.
- შეხვედრები უნივერსიტეტის სტუდენტებთან გარემოს დაცვის დღეებთან დაკავშირებით.
- ვიზიტები სკოლებში და ღია გაკვეთილების ჩატარება.
- სამეცნიერო საქმიანობის გაგრძელება.
- ინტენსიური მუშაობა უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო და საზედამხედველო საქმიანობაში.